s a q a r T v e l o
Coxatauris municipalitetis sakrebulo

Coxatauri wereTlis q. #2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა #1

4 იანვარი 2012 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2012 წლის სახელმწიფო შესყიდვების

განხორციელების მიზნით სატენდერო კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-11 მუხლის 1^1 პუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. შეიქმნას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- მიხეილ უნგიაძე – მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე – კომისიის თავმჯდომარე

- გია გიორგაძე – მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი – კომისიის წევრი

- ვლადიმერ გოგიბერიძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალიურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი

- ზურაბ ჩანტლაძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი

- მალხაზ დოლიძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი

- ერეკლე მრელაშვილი – მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე – კომისიის წევრი

- ლევან ჩხიკვაძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი

– თეა უჯმაჯურიძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი – კომისიის წევრი.

2. დაევალოს სატენდერო კომისიას (საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ შესაბამისად) განახორციელოს მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვები გამარტივებული ელექტრონული ტენდერებისა და ელექტრონული ტენდერების საშუალებით.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 2 თებერვლის ბრძანება №22 – „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2011 წლის სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით სატენდერო კომისიის შექმნის შესახებ“.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. # 4.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*